პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 115 (13236) | სამშაბათი, 18 მაისი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

უპატაკებენ

თბილისის 28 კომისრის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის კოლექტივმა 108,4 პროცენტით შეასრულა სასაქონლო პროდუქციის გამოშვების ოთხი თვის დავალება. ნომენკლატურის სრული დაცვით. გეგმის გადამეტებით მანქანათმშენებლებმა 12 ტუმბოიანი ცენტრიდანული საწნეხი მანქანა დამზადეს.

წელს აქ სამი ახალი კონსტრუქციის მანქანები აითვისეს და უკვე გაგზავნეს ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში. ესენია კოსტავას სისტემის ჩაის საკრეფი მანქანა, ჩაის სასხლავი უნივერსალური აპარატები. წლის ბოლომდე აქ კბენის მრეწველობისათვის კიდევ ექვსი დასახელების ახალ მანქანებს აითვისებენ.

სოხუმი. (საკ. კორ.). ს. ორჯონიკიძის სახელობის ტყავფეხსაცმლის კომბინატის კოლექტივმა, რომელიც სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული ბათუმის მეოთხე ფეხსაცმლის ფაბრიკის კოლექტივთან, გადაჭარბებით შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების ოთხი თვის დავალება. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 4 ათასამდე წყვილი ფეხსაცმელი.

განსაკუთრებით მაღალნაყოფიერად იმუშავა პირველმა შემკერავმა საამქრომ. აღსანიშნავია, რომ კომბინატის კოლექტივმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა თის ნაცვლად გაასალა 697 ათასი მანეთის პროდუქცია.

თელავი. (საკ. კორ.). სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა გეგმით გათვალისწინებული 269 ათასი მანეთის ნაცვლად 4 თვეში 427 ათასი მანეთის [illegible] დუქცია გამოუშვა. სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურებულნი [illegible] [illegible] [illegible]

ჩამორჩენა, მაგრამ როდემდე?

სოფლის ახალმშენებლობაზე გერივით უცქერიან

ცნობილია, რომ სოფლის მშენებლობას საქართველოში ეწევიან როგორც საჯარო, ისე სამეურნეო წესით. ძირითადი ორგანიზაციები არიან საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო (როგორც დამკვეთი) და საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო (გენერალური მოიჯარადრე), გარდა ამისა, მშენებლობას აწარმოებენ რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა", ბურპროექტების მთავარი სამმართველო, მეფრინველეობის მრეწველობის სამმართველო და სხვ.

1963 წელს გენერალურმა მოიჯარადრემ, რომ ნაყოფიერად ეწარმოებინა მშენებლობა სოფლად და დაეჩქარებინა სასოფლო-სამრეწველო სიმძლავრეთა დროულად გადაცემა საექსპლოატაციოდ, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროსთან ჩამოაყალიბა სამშენებელო ორგანიზაცია „მთავარსოფლმშენი", რომელიც შემდეგ რეორგანიზებულ იქნა „საქსოფლმშენის" ტრესტად. ტრესტი, რომელსაც სათავეში უდგას მშენებლობის მინისტრის მოადგილე შ. თათარაშვილი, უკვე შარშან ასრულებდა სოფლის მშენებლობაში სამინისტროს პროგრამის 52 პროცენტს. წელს ეს რიცხვი ცამეტით გაიზარდა.

გასული წელი რესპუბლიკის სოფლის მშენებლობისათვის იყო წელი სოფლად მშენებლობაში ინდუსტრიული მეთოდების დანერგვისა. საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე მშენებლობის სამინისტროს „მთავარსოფლმშენის" სისტემაში უკვე 1964 წლის დასაწყისში ჩამოყალიბდა საერთო-სამშენებლო ოთხი მოძრავი მექანიზებული კოლონა. ეს კოლონები აღჭურვილი არიან შესაბამისი მექანიზმებით (ექსკავატორებით, ბულდოზერებით, ავტომაქნეებით, მოძრავი სახელოსნოებით).

მოძრავი მექანიზებული კოლონების დანერგვამ, რომელთა რიცხვიც დღეს ათს უდრის, საშუალება მისცა მშენებლებს, მიუხედავად გაზრდილი გეგმისა, ფართოდ გაეშალათ სამუშაოები სოფლად.

თანამედროვე პროექტით აგებულ იქნა საუკეთესო სათბურები მარნეულისა და თამარისის საბჭოთა მეურნეობებში, 43 ათას მეკვერეზე გადაჭიმული უდაბნოს საძოვრებზე განხორციელებულია მიწის გაწყლოვანება. ამ მშენებლობაზე, რომელიც მილიონნახევარი მანეთი დაჯდა. ჩაწყობილია 220 კილომეტრი მილსადენი. შარშან ააშენეს და საექსპლოატაციოდ გადასცეს ნაგებობანი 13 ათასზე მეტი მსხვილფეხა საქონლისათვის, მათ შორის 4 ათას სულ საქონელზე სამგორის საჯიშე-მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში (ჯანდარა), საღორეები — 2700 სულზე, ფარეხები — 17600 სულზე. მეფრინველეობის ნაგებობანი 352 ათას ფრთაზე, საწყობები მინერალური სასუქებისათვის და სხვა.

ფართოდ დაინერგა ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები. თუ 1963 წელს სოფლის მშენებლობაში ერთი მილიონი მანეთის ღირებულების შესრულებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე დაიხარჯა 890 კუბმეტრი ასეთი საშენი მასალა, შარშან, მისი რაოდენობა 1800 კუბმეტრამდე გაიზარდა.

ერთი შეხედვით თითქოს საქმე ცუდად არ მიმდინარეობა, მაგრამ თუ საკითხს ღრმად ჩავწვდებით, აღმოჩნდება, რომ რესპუბლიკაში სოფლის მშენებლობა ჯერ კიდევ ხათანადო მზრუნველობით არ არის გარემოცული. სამწუხაროდ, მშენებლობის სამინისტროს კოლეგია და პირადად მინისტრი ამხ. გ. ქართველიშვილი სოფლის მეურნეობის სამრეწველო ობიექტების დროულად გადაცემას საექსპლოატაციოდ, სახელმწიფო გეგმის მაქსიმალური შესრულებით, რაღაცნაირ მეორეხარისხოვან საქმედ მიიჩნევენ.

შეიძლება ამხანაგები არ დაგეკითხონ. ამ ასეთ დასკვნაში, მაგრამ ხალხური სიბრძნე მეტყველებს: ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო.

„თუ ვამბობთ, გეგმას კანონის ძალა აქვსო. — ხაზი გაუსვა სკკპ ცკ მარტის კლენუმმა. — იგი უფლებათვის ნაკვალდებული უნდა იყოს: არ შეიძლება შევცვალოთ იგი, მაგრამ არ შეიძლება აგრეთვე არ ვასრულებდეთ მას!".

როგორ აქვს ამ მხრივ მშენებლობის სამინისტროს სახელმწიფო გეგმის შესრულების საქმე საერთოდ, და, კერძოდ, სოფლის მშენებლობაში?

შარშანწინ მშენებლები სერიოზულად ჩამორჩნენ. შარშანაც კაპიტალდაბანდებათა გეგმა შესრულდა მხოლოდ 90 პროცენტით. თუ შარშანწინ ძირითადი საწარმოო ფონდების ამოქმედების გეგმა შესრულდა 83 პროცენტით, შარშან ამ მაჩვენებელმა 23 პროცენტით დაიკლო (!).

არანაკლებ სავალალო მდგომარეობაა რესპუბლიკაში სოფლის მშენებლობის გეგმის შესრულების მხრივაც. აკაც საბელმწიფო გეგმას წლითიწლობით ვერ ვასრულებთ. მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მშენებლობის ხვედრითი წონა მშენებლობის სამინისტროს საერთო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებთან შედარებით მეტად უმნიშვნელოა!

შარშან მშენებლობის სამინისტრომ საერთო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების გეგმა შეასრულა 94 პროცენტით. ხოლო სოფლის მეურნეობის ობიექტებზე, რომელთა ხვედრითი წონა საერთო გეგმის 10 პროცენტამდე შეადგენს, საბელმწიფო გეგმა შესრულდა 86 პროცენტით. აქედან ნათლად ჩანს, თუ როგორ არ აქცევს სამინისტრო სათანადო ყურადღებას სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგის — სოფლის მეურნეობის საწარმოო ობიექტების მშენებლობას.

უფრო მეტიც. სამინისტროს ხელმძღვანელები გატაცებულნი არიან, თუ ამას მართლაც გატაცება ჰქვია, გეგმის საერთო შესრულებით, ხოლო ძირითადი და აუცილებელი საწარმოო სიმძლავრეების საექსპლოატაციოდ დროულად გადაცემაზე ნაკლებად ზრუნავენ.

შარშან სამინისტროს ხაზით სოფლის მეურნეობის მუშაკებს ვერ გადასცეს ორმოც ათასზე მეტი სული მსხვილფეხა რქიანი საქონლისათვის, ფარეხებისათვის და საღორეებისათვის გათვალისწინებული ნაგებობანი, ხოლო საფრინველეები — 191 ათასი ფრთისათვის და სხვ.

მოსალოდნელი იყო, რომ 1965 წლის პირველ კვარტალში მშენებლობის სამინისტროო ყველაფერს გააკეთებდა გასული წლის დავალიანების დასაფარავად და პირველი კვარტალის გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესასრულებლად.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ?

მეტად სავალალო. მიუხედავად იმისა, რომ ამ დავალიანების დაფარვის ყველა პირობა არსებობდა, სამინისტრომ მაინც ვერ შეძლო აღნიშნული ობიექტების მთლიანად ჩაბარება.

არ შეიძლება ითქვას, რომ სამინისტრო თავის კოლეგიაზე არ იხილავდეს სოფლის მშენებლობის საკითხებს. შარშან სამჯერ იქნა კოლეგიაზე ეს საკითხი განხილული. მაგრამ ამას პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია. სამინისტრომ მხოლოდ ფორმალურად მოიხადა ვალი ამ უაღრესად დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკმეში.

შარშან, როდესაც სოფლის მშენებლობის გეგმის შესრულება 11 თვის განმავლობაში არასახარბიელო იყო და მშენებლობის წლიური გეგმის შესრულება საფრთხის წინაშე იდგა, მინისტრმა ამხ. გ. ქართველიშვილმა ოთხ დეკემბერს კვლავ მოწვინა კოლეგია. დადგენილებაში სიტყვასიტყვიით კეთქვა: „მიუხედავად მშენებლობის ტემპის გაზრდისა, 11 თვის გეგმა შესრულებულია 72 პროცენტით. არ არის შესრულებული საწარმოო სიმძლავრეების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმაც. 300 ობიექტის ნაცვლად მწყობრში ჩადგა 180 ობიექტი...

ჩამორჩენას ძირითად მიზეზად კოლეგიას მიაჩნია ის, რომ „სოფლის მშენებლობის ჩამორჩენა გამოწვეულია ზოგიერთი სამშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელის არასათანადო უურადღებით(!).

საკითხავია, ვის გულისხმობდა კოლეგია და პირადად მინისტრი? თუ თავიანთ თავს, ეს სამართლიანი იქნებოდა.

და ეი დაიწერა ბრძანება, რომლის მიხედვით სამშენებლო ორგანიზაციებმა დარჩენილ 20 დღეში რადაც უნდა დაუჯდეთ უნდა შეასრულონ წლიური გეგმა.

თუ როგორ შესრულდა ეს ბრძანება, ამაზე ზემოთ გვქონდა საუბარი.

სოფლის მშენებლობის ჩამორჩენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ არ იქნა და ვერ მოიძებნა საერთო ენა და კოლეგიური, ურთიერთდამხმარე კონტაქტი დამკვეთსა და მშენებელს შორის.

სამწუხაროდ, წლების განმავლობაში დამკვიდრდა არასწორი ტრადიცია. იანვარი იწყება იხე, რომ ბევრ სამშენებლო ობიექტზე არ არსებობს ტექნიკური დოკუმენტაცია, რის გამო შეუძლებელი ხდება მშენებლობის დროულად და მასობრივად დაწყება. მაშინ როცა არსებული წესის მიხედვით მშენებელს ტექნიკური დოკუმენტაცია უნდა გადაეცეთ სამი თვით ადრე მშენებლობის დაწყებამდე. მაგალითად, შარშან პირველი იანვრისათვის სოფლის მეურნეობის სისტემის ორგანიზაციებს არ გააჩნდათ 40 პროცენტზე მეტი მოცულობის საპროექტო — ტექნიკური დოკუმენტაცია.

წელს ამ მხრივ მდგომარეობა სოფლის მეურნეობის სამინისტროომ საგრძნობად გამოასწორა, მაგრამ მეფრინველეობის მრეწველობის სამმართველოს ხაზით (მმართველი კ. კოჭნარიძე) ძველი სურათი კვლავ მეორდება. პირველი აპრილისათვის მშენებლობის მთელი მოცულობის 30 პროცენტზე „საქსოფლმშენს" ტექნიკური დოკუმენტაცია არ ჰქონდა გადაცემული. ეს პროცენტი კი უდრის მილიონ 200 ათას მანეთს. ამ მოცულობიდან 20 პროცენტის სამუშაოები ნაგებით პირველი კვარტალისათვის იყო გათვალისწინებული!

დიდი დაგვიანებით იქნა მიღებული ტექდოკუმენტაცია ისეთ მნიშვნელოვან ობიექტებზე, როგორიც არის საგარეჯოს და გომის მეფრინველეობის ფაბრიკები (თვითეული 400 ათასი მანეთი ღირებულებისა).

საით მივყავართ ასეთი პრაქტიკას?

იმის გამო, რომ მოიჯარადრე ორგანიზაციებმა დაზუსტებული სატატულო სიები დაგვიანებით — მარტის ბოლოსათვის მიიღეს, ხოლო დამკვეთმა ორგანიზაციებმა დაფინანსების გახსნისათვის დროულად ვერ წარადგინეს ბანკებში ყველა სათანადო საბუთი, პირველ კვარტალში მშენებლებს მნიშვნელოვანი თანხა დარჩათ აუთვისებელი, მაშინ როცა მათ თვითონ შეექმნათ მძიმე ფინანსური მდგომარეობა და, ბუნებრივია, ხელი შეეშალათ მუშაობის ნორმალურად წარმართვაში.

გარდა ამისა, ბევრი ობიექტი არაკომპლექტურად შენდება. ამიტომ ძალაუნებურად ობიექტებს ნაჩქარევად გადასცემენ საექსპლოატაციოდ. მისასვლელი გზა, წყალსადენი, განათება, მშენებლობისათვის შეუსაბამო ადგილი — ყველაფერი ეს, არასწორი დაპროექტებისა და დაგეგმარების შედეგად, მეტად აძვირებს მშენებლობას. ასეთ ობიექტებად შეიძლება დავასახელოთ გომოსაკვები ფერმების მშენებლობა ივრისა და ორბეთის საბჭოთა მეურნეობებში და სხვ.

მთელ რიგ საბჭოთა მეურნეობებში, განსაკუთრებით კოლხიდის ზონაში, სამშენებლო ობიექტებისათვის ადგილების შერჩევა ხდება ყველა ზემოხსენებული პირობის გაუთვალისწინებლად, ზერელედ.

მაგრამ მარტო ეს როდი უშლის ხელს მშენებლობის დროულად და ხარისხიანად ჩაბარებას. საწარმოო სიმძლავრეთა საექსპლოატაციოდ გადაცემა უნდა ხდებოდეს სრულყოფილად, ტექნიკის გათვალისწინებით.

სამწუხაროდ. ამ ელემენტარულ წესს ავიწყებენ ჩვენებები. წინასწარ გეგმიანად არ ხდება საჭირო ინვენტარზე განაცხადის შედგენა.

სწორედ ამიტომ შეფერხდა შირაქის ხაბჭოთა მეურნეობაში 80 ათასი ფრთა ხაწინელე ნაგებობის საექსპლოატაციოდ გადაცემა, ვინაიდან დამკვეთმა — მეფრინველეობის მრეწველობის სამმართველომ დროულად ვერ მიაწოდა მშენებლებს საჭირო დანადგარები.

სოფლად მშენებლობის ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ მშენებლობის სამინისტრო სათანადო ყურადღებას არ აქცევს ამ ობიექტებზე მომუშავე კადრების შერჩევასა და მომზადებას. მოძრავი მექანიზებული კოლონები დღემდე არ არიან დაკომპლექტებული საჭირო აუცილებელი ტექნიკით. არ გააჩნიათ მძლავრი საკუთარი სამშენებლო ბაზა, რის გამო მშენებლობის ნაკადური მეთოდით წარმოება ფერხდება და, თავისთავად ცხადია, ასეთ შემთხვევაში მექანიზებული კოლონების მნიშვნელობა ეცემა.

სოფლად მშენებლობის ჩამორჩენის მიზეზი იმაშიც უნდა ვეძებოთ, რომ ამ სახის სამუშაოებს აწარმოებს მშენებლობის სამინისტროს ბევრი ისეთი სამშენებლო ორგანიზაცია, რომლებიც მოწოდებული არიან სხვა პროფილის სამუშაოებისათვის. ცხადია, ასეთ შემთხვევაში ისინი მეორე პლანზე აყენებენ სოფლის მშენებლობას.

და ეს შემდგომში რომ არ გამეორდეს, ცხოვრება აყენებს საკითხს შეიქმნას ერთიანი, ცენტრალიზებული ორგანიზაცია, რომელიც სამხოლო ანგარიშით პასუხისმგებელი იქნება სოფლად მშენებლობის წარმატებით განხორციელების საქმეში.

გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ მიუხედავად ადმირეტიული ორგანოების დადგენილებისა, დღემდე სამინისტროს კოლეგიამ ვერ შექმნა სამინისტროში სოფლის მშენებლობის სპეციალური განყოფილება, რომელიც, თავისთავად ცხადია, მეტ კონტროლსა და ქმედით დახმარებას გაუწევს სოფლის მშენებლებს.

დროა სოფლის მშენებლობას ჯეროვანი უურადღება დაეთმოს. პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა ჩვენს სახელოვან სოფლის მუშაკებს დაუსახა სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის დიდებული პროგრამა, რომლის წარმატებით განხორციელებაში მშენებლებს სერიოზული მოვალეობა აკისრიათ.

Ო. არობელიძე.

საქართველოს პროფსაბჭოში

დიადი თარიღის შესახვედრად

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკების რესპუბლიკური თათბირი

მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და ტამკენტის პროფკავშირების კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკებმა და სახოგადოებრივმა აქტივმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მოსავალი ოფიციალურად ეკითხა წლისთვის აღსანიშნავად იკისრეს ვალდებულებანი — აამაღლონ კულტურულ-მასობრივი მუშაობისა და შრომელთა დასვენების ორგანიზაციის დონე, მიაღწიონ იმას, რომ კლუბები, კულტურის სახლები და სასახლეები, ბიბლიოთეკები და წითელი კუთხეები ჩინებულად მუშაობდნენ.

საკავშირო პროფსაბჭომ მოიწონა ეს ინიციატივა და ურჩია პროფკავშირთა რესპუბლიკურ, სამხარეო, საოლქო საბჭოებსა და კომიტეტებს მოაკოვის, ლენინგრადის, კიევისა და ტაშკენტის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მაგალითისამებრ გაშალონ ბრძოლა დიადი თარიღის ღირსეულად შესახვედრისათვის.

ამ საკითხს შიეძღვნა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკებისა და აქტივის რესპუბლიკური თათბირი, რომელიც საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ მოაწყო.

მოხსენება თემაზე „პროფკავშირების კულტურულ-საგანმანათლებელო დაწესებულებათა აღმშრდელობითი მუშაობის დონის შემდგომი ამაღლება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით" წაიკითხა საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა დ. იოსელიანმა.

თათბირზე გამოვიდნენ გორკის სახელობის კულტურის სახლის დირექტორი გ. თევდორაძე, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლის დირექტორი ო. ცქიტიშვილი, ავხაზეთის ასსრ პროფსაბჭოს ინსტრუქტორი ჭითანავა, ბათუმის ბავშვობგადასამუშავებელი ქარხნის პროფკავშირის ქარხანომის თავმჯდომარე ვ. მარტიროსიანი, ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის წარმოების ეკონომიკის სახალხო უნივერსიტეტის რექტორი ვ. ვართანოვი, საქართველოს პროფსაბჭოს კულტურის განყოფილების გამგე ი. ჩოჩია და სხვები (საქდესი).

აგიტატორთა სკოლა

ტყიბული. (საკ. კორ.). სოფელ ორპირში საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე პოლიტიკური განათლების კაბინეტთან ამ დღეებში შეიქმნა აგიტატორთა სკოლა, რომელშიც ორპირის კოლმეურნეობისა და ჩაის ფაბრიკის 30-მდე აგიტატორი გაერთიანდა.

სკოლაში სწავლების ვადა ორი თვეა, მეცადინეობა კვირაში ერთხელ ეწყობა. მსმენელებმა უკვე მოისმინეს ორი ლექცია — „აგიტატორის მეტყველების კულტურა" და „ევროპის პოლიტიკური რუკა". ლექციები წაიკითხეს საზოგადოება „ცოდნის" წევრმა პ. ბერეკაშვილმა და გეოგრაფიის მასწავლებელმა ე. ცირეკიძემ.

პარტიული ცხოვრება

რაიკომის საიმედო დასაყრდენი

შტატგარეშე კომისიების მუშაობის პრაქტიკიდან

ადრე გაზაფხული იყო. ხვანჭკარის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის რაიაბრეშუმის კანტორის გამგე აგრონომი ო. კობახიძე ეწვია. ოთახში თავი მოეყარათ ბრიგადირებს, მერგოლურებს, ოგიით მევეხეებს. ისინი მოელოდნენ, რომ აგრონომი მეაბრეშუმეობის განვითარებასა და პარკის დამზადების გეგმების შესრულებაზე დაუწყებდათ საუბარს. მან კი ამჯერად გაზის სხვადასხვა პროგრესულ მეთოდებზე მოუთხრა მევეხეებს და იქვე ახლო მდებარე ნაკვეთში პრაქტიკულად უჩვენა, თუ როგორ უნდა გაისხლას ვაზი თავისუფალი და ორმხრივი ქარაფით ნესით, რა უპირატესობა აქვს ამ წესს ჯამისებურ სხლეტთან შედარებით.

პარტიის რაიკომთან სახოგადოებრივ საწყისებზე არსებული სამეურნეო საქმიანობის, მოწინავეთა გამოცდილების შესწავლისა და გავრცელების კომისიის წევრები აგრონომი ო. კობახიძე, ვეტექიმი ა. ბეხდინიშვილი, ზოოტექნიკოსი გ. არჩვაძე, მექანიზატორი ვ. ქემოკლიძე და სხვები ხშირად მიდიან კოლმეურნეობებში არა „სადირექტივო მითითების" მისაცემად, არამედ იმისათვის, რომ შეაწავლონ სოფლის მშრომელებს მოწინავეთა გამოცდილება და დანერგონ იგი წარმოებაში. ამ კომისიამ, რომელსაც გამოცდილი მევენახე-აგრონომი ს. გაგოშიძე ხელმძღვანელობს, პრაქტიკულად დანერგა ვაზის თავისუფალი და ორმხრივი სხლეის პროგრესული მეთოდი ხიდიკოის, სადმელის, ხვანჭკარის, ჯრეანლოს, წესის, პირველი ტოლის, ბუგეულის და სხვა კოლმეურნეობებში. შემოდგომა უდაოდ დაადასტურებს სხლის ახალი წესის კეთილსასურველ გავლენას ყურძნის მოსავლიანობის გადიდებაზე. ამავე კომისიის რეკომენდაციით რაიონის მეცხოველეობის ფერმებში სულ უფრო ფართოდ ინერგება პროფესორ ბაიბურციანის მეთოდი მოზარდი პირუტყვის კასტრაციისა, რაც დიდად უწყობს ხელს ნამატის ზრდა-განვითარებას.

მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების პრაქტიკაში დანერგვასთან ერთად, კომისია დიდ ყურადღებას აქცევს კოლმეურნეობებში საქმის მდგომარეობის შესწავლას, არსებული რეზერვების გამოვლინებასა და ამოქმედებას, მხილებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის საჭირო ღონისძიებების დასახვას. კომისია გულდასმით სწავლობს საკოლმეურნეო წარმოების მტკივნეულ საკითხებს და მათ შორის უველზე საყურადღებო და მნიშვნელოვანი შეაქვს რაიკომის ბიუროს სხდომის განსახილველად.

მიმდინარე წლის იანვარში კომისიამ შეამოწმა პირუტყვის გამოზამთრების მდგომარეობა ზნაურის, ბუგეულის, ჭილოყელისა და კაჩეთის კოლმეურნეობებში. აღმოჩნდა სერიოზული ნაკლოვანებები: არ იცავდნენ პირუტყვის კვების რაციონს, სადგომებში უსუფთაობა იყო. პირუტყვს აკლდა ყუთიანი საკვები. ეს უარყოფითად მოქმედებდა პროდუქციის ზრდაზე. კომისიის მასალებიდან, შემდეგ კი რაიკომის ბიუროზე საკითხის განხილვისას ნათელი გახდა პირუტყვის გამოზამთრებაში ჩამორჩენის მიზეზები, რომელთა აღმოსაფხვრელად დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი: კოლმეურნეობებს დამატებით გამოეყოთ კომბინირებული საკვები.

სამმართველოს ზოოვეტერინარული პერსონალის დახმარებისა და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის აძალებს შედეგად ბოლო მოეღო პირუტყვის გაუპატრონებას, მკვეთრად გაუმჯობესდა მისი მოვლა-პატრონობა.

ყოველივე ამან მალე პრაქტიკული ნაყოფი გამოიღო: გაიზარდა ძროხების წველადობა, ნორმალურად წარიმართა ნამატის მიღება-შენახვა. სასურველი შედეგები მოაყვა აგრეთვე კომისიის მიერ რაიონის კოლმეურნეობებში ვენახების სამუშაოთა და საგაზაფხულო ხვნა-თესვის მიმდინარეობის შესწავლას და რაიკომის ბიუროს სხდომაზე განხილვას.

ცხოვრება გვიჩვენებს, რომ პარტიის რაიონული კომიტეტის მუშაკები, რაც უნდა ბევრი იმუშაონ, ვერ შეძლებენ ახალი გაზრდილი ამოცანების წარმატებით დაგაკრას, თუ მტკიცედ არ დაეყრდნენ ფართო აქტივს. რაიონში 93 პირველადი პარტიული ორგანიზაციაა. მათი მდივნების უმრავლესობა პირველად არის არჩეული და ყოველდღიურ დახმარებას საკრიოლს, ამასთან უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაკლენამ მოიცვას რაიონის ყველა მშრომელი.

საამაოდ კი მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საზოგადოებრივ საწყისებზე რაიკომთან არსებული პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის, აგრეთვე პარტიაში მიღებისა და კომუნისტების პერსონალური საქმეების წინასწარ განმხილველი კომისიები და 12 შტატგარეშე ინსტრუქტორი, რომლებიც პარტიული კომიტეტის საიმედო დასაყრდენი და ნამდვილი თანაშემწენი არიან.

პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის კომისიამ, რომელსაც სარაიონთაშორისო გაზეთის რედაქციის პარტიული ცხოვრების განყოფილების გამგე გ. ჯიჯეიძე ხელმძღვანელობს, მიმდინარე წელს რაიონის 25 პირველადს პარტიულ ორგანიზაციას გაუწია პრაქტიკული დახმარება.

კომისიამ მოამზადა და რაიკომის ბიუროზე განსახილველად შემოიტანა 5 საკითხი. აი ისინიც: როგორ სრულდებოდა პარტიულ კრებებზე მიღებული დადგენილებები ბუხლის, ხიდიკოის, ხოტევის, ხვანჭკარის საკოლმეურნეო, სადმელის ტერატორიულ და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში, როგორ ახორციელებენ გამგეობათა საქმიანობისადმი კონტროლს ბოსტანის, ღადბოშის და ჩორჭოს საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციები; როგორ უვლიან და აწარმოებენ პარტიულ მეურნეობას რაისაბჭოს აღმასკომის, ამბროლაურის, შრომის საკოლმეურნეო და ბარეულის სასკოლო პარტორგანიზაციები; როგორია კომუნისტებისა და კომკავშირელების ავანგარდული როლ ბუვიშის, ზნაკვის, ნიკორწმინდისა და ხვანჭკარის კოლმეურნეობებში, რა ღონისძიებებს ახორციელებენ „სამტრესტის" ქარხანათა სამმართველოს, ჭრებალოსა და ტოლის საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციები კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად.

როგორც წესი, კომისიის წევრები როდი სჯერდებიან მარტო საკითხების მომზადებას, ისინი ამასთან ამოწმებენ, თუ როგორ სრულდება რაიკომის ბიუროს ესა თუ ის დადგენილება. ადგილზე მისვლით ეხმარებიან პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსწორებაში. თავის მხრივ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები ხალისით მიმართავენ კომისიას რიგვა-დარიგებისათვის და გაურკვეველ საკითხის ირგვლივ საპერო ახსნა-განმარტებას იღებენ.

კომისიის შემადგენლობაში არიან დიდი პრაქტიკული გამოცდილების მქონე, ავტორიტეტიანი ამხანაგები: პედაგოგები გ. კობახიძე და მ. სვანიძე, ექიმები ლ. ხუციშვილი და შ. გორდეზიანი, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ელ. კაციტაძე და ნ. ლორთქიფანიძე, რომლებსაც ესმით ადამიანებთან მუშაობის ხელოვნება და აქვთ საკითხისადმი პრინციპული მიდგომის უნარი.

დიდი მოვალეობა აკისრია პარტიაში მიღებისა და კომუნისტების პერსონალური საქმეების წინასწარ განმხილველ კომისიას. პარტიის რიგების შევსება ყველაზე ღირსეულებით — პირველ რიგში სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის დარგში მომუშავე მოწინავე ადამიანებით — სერიოზული საქმეა, რომელიც ზერელე მიდგომას ვერ ითმენს. თუმცა რაიკომი გულდასმით ამოწმებს პარტიაში მისაღებ თვითეულ კანდიდატურას, მაგრამ კომისიის მიერ წინასწარ გაწეული მუშაობა, მისი ავტორიტეტული წინადადება გეეხმარება ადამიანთა საქმიანი და პოლიტიკური თვისებების შესწავლაში.

აღსანიშნავია ისე დიდი ხნის წინათ საწარმოო საამართველოს პარტიული კომიტეტი ღრმა ინტერესს არ იჩენდა თვითეული კომუნისტის საქმიანობისა და ბედისადმი. პარტიული სასჯელის დადებისას ყოველთვის გულდასმით როდი არჩევდნენ კომუნისტისათვის წყაენებულ ბრალდებათა საფუძვლიანობას, ხოლო სასჯელის მოხსნა წლობით ჭიანურდებოდა.

რაიკომის კომისიამ ამ მიმართულებითაც საგრძნობი ნაბიჯი გადადგა. იგი მაქსიმალურ ყურადღებას იჩენს კომუნისტების პერსონალური საქმეების შესწავლისას და რაიკომის წინაშე აყენებს დასაბუთებულ წინადადებებს.

რაიკომმა საგრძნობად გააუმჯობესა მუშაობა შტატგარეშე ინსტრუქტორებთან. პირველ ხანებში მათ მხოლოდ ეპიზოდური დავალებები ეძლეოდათ — ამოწმებდნენ საჩივრებს, განცხადებებს, ატარებდნენ კრებებს. ახლა კი შტატგარეშე ინსტრუქტორები გ. მაჩაიძე, შ. დავითულიანი, ა. შავლაძე და სხვები პარტიული ცხოვრების შუაგულში არიან — ეცნობიან რაიკომის პლენუმისა და ბიუროს დადგენილებებს, მიდიან პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში ამ დადგენილებათა განხორციელებისათვის პრაქტიკული დახმარების გასაწევად, პარტიულ-ორგანიზაციული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მოსაგვარებლად.

საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე კომისიებისა თუ ინსტრუქტორების სახით პარტიის რაიკომს ჰყავს საიმედო დასაყრდენი, მებძოლი ბირთვი, რომელიც ცხოვრების შუაგულშია და პრაქტიკულად ეხმარება რაიკომს ადამიანთა შემოქმედებითი უნარის სწორად გამოყენებაში, მათს აღზრდაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

З. სოხაძე.

საქართველოს კპ ამბროლაურის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე.

◆

წარმატებით მიმდინარეობს ზემო ალაზნის არხის მშენებლობა. მშენებლებმა გეგმის გადამეტებით რამდენიმე ათეული ათასი კუბმეტრი მიწის სამუშაოები შეასრულეს.

• • •

სურათზე: მოწინავე მშენებლები მექანიკავატორე ა. ვარდანაშვილი (მარცხნივ) და მებეტონე ა. ბედმანიკაშვილი.

ფოტო ს. კილაძისა.

◆

მაღალ ტენდენციები

ქოლმეურნეობის თავმჯდომარემ არჩილ ტყაბლაძემ იმ დღეს ჩვენთან ერთად ამ წელიწადში პირველად ჩაიხედა ბრიგადირის „შრომისა და შესრულებულ სამუშაოთა აღრიცხვის წიგნაკში".

ჩაიხედა და გაიკვირვა...

თურმე ხუ. იტყვიან, მე-4 ბრიგადის წევრს სერგო კაკაბაძეს მარტო ერთ დღეს, 11 მარტს, არც მეტი, არც ნაკლები 9,75 შრომადღე გამოუმუშავებია.

— კი, შეიძლება გამიანმა ერთ დღეს რეკორდი დაამყაროს, ათი კაცის ნორმა შეასრულოს. მაგრამ რატომ გამოგვრია ეს მხედველობიდან?!.

კვლავ გაიკვირვა თავმჯდომარემ.

— აქ უბრალო გაუგებრობაა, — წამოიშალა თავმჯდომარეს აგრონომი ინდიკო ქუთათელაძე. — ჩანს, ბრიგადირს დავით წიქვაძეს ერთად დაერიცხავს მთელი კვირის შრომადღეები.

და ჩვენც წინა დღეების ჩანაწერებში ჩავიხედეთ... არც ერთი დღე „ურეკორდოდ!"

7 მარტს ს. კაკაბაძეს დაერიცხა 8 შრომადღე, 9 მარტს — 7,5, 10 მარტს — კიდევ 7,5... და ასე, ოთხ დღეში — 32,75 შრომადღე.

— ბეგრია! საეჭვოა, მარა ახლა რას ვიზამთ, ალბათ ბრიგადირმა ოჯახის ყველა წევრის შრომადღეები დაერიცხა, ალბათ ხელს უწყობს, იმიტომ რომ ს. კაკაბაძე მოსწავლეა, ალბათ სადმე სტაჟისათვის ან დახასიათებისათვის გამოადგება ეს შრომადღეები.

ასე „ალბათობით" დაამთავრა თავმჯდომარემ.

მაგრამ... ამ ერთი კაცით როდი ამოიწურება „უბრალო გაუგებრობა".

იმავე ბრიგადაში კოლმეურნე ქალს ლიანა კაკაბაძეს ერთ დღეს ჩამორჩენილ, ხოლო მეორე დღეს მამაცობის „ეკორდები" დაუმყარებია. 20 მარტს ჩაის პლანტაციაში შეუტანია და გამომუშავების ნორმების მიხედვით მხოლოდ 0,29 შრომადღე დაერიცხავთ. სამაგიეროდ, მეორე დღეს, 21 მარტს, ჩაის ბუჩქების გვერდით ტოტების გასხვლაზე უმუშავნია და ერთბაშად 7,5 შრომადღე დაერიცხავთ.

როგორც იტყვიან, ნახტომიც ამას ჰქვია!..

და კიდევ არანაკლები ნახტომი ახლა უკვე № 1 ბრიგადაშია.

კოლმეურნე შაქრო დოლაბერიძეს 25 მარტს 0,31 ჰექტარ ჩაის პლანტაციაში სასუქის „მოყრისათვის" 0,59 შრომადღე დაერიცხეს, ხოლო მეორე დღეს, 26 მარტს, ამავე პლანტაციის ეკალ-ბარდებისაგან გაწმენდისათვის 7,75 შრომადღე.

მსგავსი მაგალითები აქ თითებზე ჩამოსათვლელი როდია.

შრომადღეების დარიცხვაში სხვა დამახინჯებებსაც ვხედებით. № 5 ბრიგადაში კოლმეურნეობის ყოფილი კანტორისა და მისი ეზოს დალაგებისათვის 14 კოლმეურნე მოაცდინეს და 17 შრომადღე დაერიცხეს.

ყველაფერ ამას ისიც ემატება, რომ შესრულებული სამუშაოები თვეობით არ გადაიკვეთ სათანადო წიგნაკებში. 7 მაისისათვის ხუთი ბრიგადირიდან ოთხს მარტის შემდეგ არ გაუკეთებია ჩანა

საქართველოს ხალხებს

სირცხვილი აგრესორებს! ძირს იმპერიალიზმი!

ჯაკარტა. „სირცხვილი აგრესორებს!", „ძირს იმპერიალიზმი!" — ასეთი ლოზუნგებით რწდილოეთ სუმატრის ადმინისტრაციულ ცენტრში ქალაქ მედანში გაიმართა ათიათასიანი საპროტესტო დემონსტრაცია დომინგოს რესპუბლიკის საშინაო საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ჩარევის წინააღმდეგ. დემონსტრაცია მიმდინარეობდა ამერიკის საკონსულოს შენობის წინ.

დემონსტრაციის მონაწილეებმა ამერიკის შეერთებული შტატების კონსულს გადასცეს საპროტესტო განცხადება, რომელშიც მოითხოვენ, რომ ამერიკამ დაუყოვნებლივ შეწყვიტოს აგრესია დომინგოს რესპუბლიკის წინააღმდეგ და გაიყვანოს ჯარები დომინგოს რესპუბლიკიდან.

მოგადიშო. საფრანგეთის სომალის განთავისუფლების ფრონტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც სასტიკად გმობს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიას დომინგოელი ხალხის წინააღმდეგ. ფრონტი ძმურ სოლიდარობას უცხადებს დომინგოს პატრიოტული ძალების ბრძოლას ამერიკელი იმპერიალისტებისა და მათი აგენტების წინააღმდეგ.

ბუენოს-აირესი. არგენტინის ეროვნული კონგრესის დეპუტატთა პალატამ დაგმო ამერიკის ინტერვენცია დომინგოს რესპუბლიკაში და სოლიდარობა გამოუცხადა დომინგოელ ხალხს. რეზოლუციები, რომლებიც პალატამ მიიღო, შეიცავენ მოთხოვნას, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაუყოვნებლივ გაიყვანონ ჯარები დომინგოს რესპუბლიკიდან.

არგენტინის პრეზიდენტმა არტურო ილიამ განაცხადა, რომ მისი ქვეყანა არ გაგზავნის დომინგოს რესპუბლიკაში ჯარებს, რომლებიც უნდა შესულიყვნენ „ლათინური ამერიკის კორპუსის" შემადგენლობაში, რომლის დანიშნულებაა „ამერიკის სახელმწიფოთა კოლექტიური ღონისძიებებით" შენარჩუნოს ამერიკის აგრესია. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ასეთი გადაწყვეტილება მიღებულია ეროვნული კონგრესის დეპუტატთა პალატის პოზიციის გამო, რომელიც გმობს ამერიკის ინტერვენციას და მოითხოვს ამერიკის შეერთებული შტატების ჯარების გაყვანას დომინგოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან.

რომი. იტალიის დეპუტატთა პალატაში საგარეო პოლიტიკაზე კამათის დროს მკაცრად გააკრიტიკეს ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ინტერვენცია ვიეტნამსა და დომინგოს რესპუბლიკაში, აგრეთვე იტალიის მთავრობის დადებითი დამოკიდებულება ამ ინტერვენციისადმი.

„იტალიის პოლიტიკას ამერიკის დაღი ეზის", — განაცხადა ტ. ვიკეიტიმ (იტალიის პროლეტარული ერთობის სოციალისტური პარტია). მან მოითხოვა გაემიჯნონ ამერიკის იმპერიალიზმს და შექმნან იტალიაში ახალი მთავრობა, რომელსაც შეეძლება განახორციელოს დამოუკიდებელი პოლიტიკა. (საკდესი).

ომის წინააღმდეგ

ჰანოი. ვიეტნამის დეპეშათა სააგენტო იუწყება: ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც გადაჭრით გმობს ამერიკის მთავრობის მოქმედებას ძალებისა და საშუალებების გაზრდისათვის, სამხრეთ ვიეტნამში აგრესიული ომის გაძლიერებისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა სასწრაფოდ ხმლის თავის შეიარაღებულ ძალებს, აგრეთვე თავისი სატელიტების შეიარაღებულ ძალებს და აპირებს გადადგას ახალი, განსაკუთრებით საშიში ნაბიჯი სამხრეთ ვიეტნამში აგრესიული ომის გაფართოებისა და ჩრდილოეთ ვიეტნამში ომის გადატანის გეგმების განხორციელების გზაზე.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, კვლავ გადაჭრით გმობს ამერიკის მთავრობის ამ აგრესიულ ზრახვებსა და მოქმედებას. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა გადაჭრით მოითხოვს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ზუსტად დაიცვას და ზუსტად შეასრულოს ჟენევის 1954 წლის შეთანხმებანი ვიეტნამის შესახებ, გაიყვანოს ჯარები სამხრეთ ვიეტნამიდან, გაიტანოს შეერთებული შტატებისა და მათი სატელიტების იარაღი და საომარი მასალა, მისცეს უფლება ვიეტნამელ ხალხს თვითონ გადაწყვიტოს თავისი საშინაო საქმეები. განცხადებაში ხაზგასმულია: ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა შეწყვიტონ ყოველგვარი საომარი მოქმედება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. (საკდესი).

გამოფენა გორდოში

პარიზი, 15 მაისი. (საკდესი). დღეს გორდოში გაიხსნა ფრანგ მხატვრთა იმ სურათების გამოფენა, რომლებიც ლენინგრადის ერმიტაჟში და მოსკოვის მუზეუმებშია დაცული. გამოფენის გახსნაზე სიტყვები წარმოთქვეს საფრანგეთის ეროვნული კრების თავმჯდომარემ, გორდოს მერმა ჟაკ შაბან-დელმასმა და სსრ კავშირის ელჩმა საფრანგეთში ვ. ა. ზორინმა.

ვიეტნამი იბრძვის...

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობამ იარაღი აიღო ამერიკელი აგრესორებისაგან თავის დასაცავად. თავისუფალ დროს მუშები და გლეხები იარაღის შესწავლასა და სასწავლო სროლას ანდომებენ.

სურათზე: (ქვემოთ) ჰაიფონის ფეიქრები შაშხანის სროლაში ვარჯიშობენ.

სამხრეთვიეტნამელი პატრიოტები განაგრძობენ წარმატებითს ოპერაციებს საიგონელ დამსჯელთა და მათ ამერიკელ „მრჩეველთა" წინააღმდეგ. პარტიზანებს სწრაფი იერიშები მიაქვთ სამხრეთვიეტნამელი ჯარისკაცების პოზიციებზე, ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარის დასაყრდენ პუნქტებზე, იკავებენ დასახლებულ პუნქტებს.

სურათზე: (მარჯვნივ): გლეხები მიესალმებიან სამხრეთვიეტნამელ პარტიზანებს.

ფოტო ვია-საკდესისა.

მდგომარეობა დომინგოში

ნიუ-იორკი, 17 მაისი. (საკდესი). ამერიკის ჯარების მხარდაჭერით დომინიკოს კონტრრევოლუციის ჯარებმა ჩაფუშეს დაზავება და დაიწყეს საომარი მოქმედება აჯანყებულთა ჯარების წინააღმდეგ. როგორც ამერიკის პრესა და საინფორმაციო საგენტოები იუწყებიან, სანტო-დომინგოს ჩრდილოეთ ნაწილში გაიფორკვლი ბრძოლები მიმდინარეობა. არის პირობით დახოცილი, ძირითადად სამოქალაქო მოსახლეობა.

საგენტოთა ცნობებიდან ცხადია, რომ კონტრრევოლუციამ დაიწყო მოქმედება შეერთებული შტატების ნებართვითა და მათი უშუალო მონაწილეობით. დამახასიათებელია, რომ სამხედრო-სამოქალაქო ხუნტის ჯარებმა, რომელსაც მხარს უჭერენ ამერიკის შეერთებული შტატები, გააქტიურეს თავიანთი მოქმედება იმ დროს, როცა სანტო-დომინგოში ჩამოვიდნენ პრეზიდენტის ეროვნული უშიშროების საქმეთა სპეციალური თანაშემწე მაკ ჯორჯ ბანდი და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილე თომას მანი.

მერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განცხადება

ბერლინი, 15 მაისი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა გერმანის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განცხადება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და ისრაელს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების გამო. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, ნათქვამია განცხადებაში, მიაჩნია, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და ისრაელს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება — ეს არის გაგრძელება საიდუმლო და აშკარა თანამშრომლობისა სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიურ დარგებში ისრაელის ხელმძღვანელ წრეებსა და დასავლეთ გერმანიის მილიტარისტულ და ნეოკოლონიალისტურ ძალებს შორის.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა გმობს ასეთ თანამშრომლობას დასავლეთგერმანულ მილიტარისტებსა და ისრაელის ხელმძღვანელ წრეებს შორის, რადგან იგი ძაბავლობას ქმნის ახლო აღმოსავლეთში და ანელებს საკითხების გადაჭრას თვითგამორკვევის უფლების საფუძველზე.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, ხაზგასმულია განცხადებაში, ადასტურებს, რომ მზად არის თავისი წვლილი შეიტანოს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში და კიდევ უფრო განავითაროს და განამტკიცოს ურთიერთობა არაბულ სახელმწიფოებთან. იგი მხარს უჭერს არაბთა ერთიანობის იდეას და დარწმუნებულია, რომ მისი პოლიტიკა შეესაბამება მშვიდობიან ურთიერთგაგებასა და თანამშრომლობას თანასწორუფლებიანობისა და ჩაურევლობის საფუძველზე, შეესაბამება გერმანელი ხალხის ეროვნულ ინტერესებს.

თევზსაჰერი გემი გადაგრუნდა

ვენეციის გემსაშენში აშენებული თევზსაჭერი გემი „ალბატროსი-1", რომლის წყალწყვეტა 850 ტონაა, წყალში ჩაშვებისთანავე გადაბრუნდა. ეკიპაჟი გადარჩა.

ბასია ეძებს მშობლებს

ვარშავა. საკდესის კორესპონდენტი ვ. კუზნეცოვი იუწყება:

მას ჰქვია ბასია, იგი დაიბადა ოსვენციმის სიკვდილის ფაბრიკაში. ბასიამ, რომელმაც სითბო და დედობრივი ზრუნვა ჰპოვა ერთ-ერთი პოლონელის ოჯახში, მოუწოდა ყველას, დამეხმარეთ ჩემი მშობლების პოვნაში, ჩემი ეროვნება, აგრეთვე ჩემი ნამდვილი სახელი და გვარი დამიდგინეთო. ამას უკვე იუწყებოდა საბჭოთა პრესა. ბევრი პოლონელი მოკალაქე მონაწილეობს ბასიას მშობლების ძებნაში. ბასიას მარჯვენა თეძოზე სვირინგებით დასმული აქვს ნომერი 73.528. ვარშავაში ასობით წერილი მოდის პოლონეთის ყოველი კუთხიდან, აგრეთვე ლიტვიდან, ბელორუსიიდან, უკრაინიდან და ვლადივოსტოკიდანაც კი. ოსვენციმის ყოფილი ტუჯე, ამჟამად ბელოსტოკელი ექიმი ირენა ბიალუვნა თავის წერილში იუწყება, რომ 1943 წლის დეკემბერში, როცა პატარა ბასიას ფაშისტებმა სვირინგებით დაასვეს ნომერი, ოსვენციმის, მოდიოდა ბელორუსიისა და პოლონეთის აღმოსავლეთ რაიონების სამოქალაქო მოსახლეობით დატვირთული ტრანსპორტები. „შეიძლება ვფიქრობთ, — წერს იგი, — რომ ბასია წარმოშობით ან ბელორუსია ან პოლონელი".

კავშირის თანამგზავრის „მოლნია-1" საშუალებით თქვენ კორესპონდენტი და გაზეთ „ექსპრეს ვეჩერნის" ეურნალისტები გუშინ დაუკავშირდნენ ვლადივოსტოკს, სადაც ცხოვრობს ლიდია ნიკოლოზის ასული ვორონკოვა. იგი თავის წერილში წერდა: დედაჩემს — ფ. უ. კულიკს ჰქონდა ოსვენციმის ნომერი 73.527. რადგან ჰიტლერელები ბავშვებს აძლევდნენ მათი მშობლების შემდგომ ნომრებს, აღნიშნავს იგი, მაშასადამე, ბასიას ნომერი 73.528 დედაჩემის შვილის ნომერიაო.

მან აგრეთვე გვაცნობა, რომ დედამისი ომამდე ცხოვრობდა ვიტებსკის ოლქის სოფელ მენუტევოში და რომ 1943 წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში ფაშისტებმა წაიყვანეს იქიდან ორსული ქალი ოსვენციმში.

ამჟამად ძნელია ითქვას, ვინ არიან ბასიას მშობლები. მაგრამ თვით ფაქტი, რომ მოდის უამრავი წერილი და დეპეშა, რომლებიც ნათელს ჰფენენ ბანაკში, მავთულხლართებს იქით გოგონას დაბადების ნამდვილ ადგილსა და ადგილსა, რომლებმაც ამშობიარეს ქალი, აგრეთვე საყოველთაო ინტერესი ბავშვის ბედისადმი — ყოველივე ეს მოწმობს, რომ ნომერი 73.528 იპოვნის თავის მშობლებს, გაიგებს თავის ეროვნებას, აგრეთვე თავის ნამდვილ სახელსა და გვარს.

დაძაბულობა ევროპაში

ჰავანა, 15 მაისი. (საკდესი). ევროპაში ძალზე გამწვავდა მდგომარეობა. პროამერიკული სამხედრო ხუნტა, რომელმაც 1963 წელს ჩამოაგდო კანონიერი მთავრობა, კვლავ ემიმართავს რეპრესიებს, ცდილობს ტერორის საშუალებით ჩაახშოს მოსახლეობის უფართოესი ფენების უკმაყოფილება. პირველ რიგში დევნიან დემოკრატიულ ძალებს, რომლებიც მოითხოვენ სამხედრო დიქტატურის ლიკვიდაციას.

როგორც პრესსა ლატინას კორესპონდენტი კიტოდან იტყობინება, დაპატიმრებული არიან სოციალისტური პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გონსალო ოლეასი, მთელი რიგი პროფკავშირული და სტუდენტთა ლიდერები. დაუდასტურებელი მოსაცემებით, დაპატიმრებულია აგრეთვე ეკვადორის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი პედრო საადი. „ძირგამომთხრელი საქმიანობის" გამო დახურულია გაზეთები „ტელეგრაფო" და „უნივერსო", რადიოსადგურები „ატალაია", „ეკუადორი" და „კრე".

ამასთან დაკავშირებით, რომ სამხედროებს შორის იხრდება უკმაყოფილება ხუნტის პოლიტიკის გამო, დაპატიმრებული არიან მეორე სამხედრო-საჰაერო ზონის სარდალი პოდპოლკოვნიკი ხულიო ალფრედო ვალენსუელა და სხვა ოფიცრები. მათ ბრალად ედებათ შეთქმულების მომზადება არაპოპულარული სამხედრო რეჟიმის დამხობის მიზნით.

განსაკუთრებით დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა ეკვადორის უმსხვილეს ქალაქ გუაიაკილში, სადაც გაიმართა მთავრობის საწინააღმდეგო დიდი დემონსტრაციები. დემონსტრანტთა წინააღმდეგ ხუნტამ გამოიყვანა პოლიცია. პოლიციელებმა გამოიყენეს ცრემლსადენ-გაზიანი ბომბები. ქალაქში გამოცხადებულია საალყო წესები და შემოღებულია კომენდანტის საათი. ქალაქში შეიყვანეს სახმელეთო ძალები და საზღვაო კვეთი ჯარი. ჯარისკაცებმა დაიკავეს სტრატეგიული პუნქტები და პატრულობენ ქუჩებში.

გუაიაკილში ჩავიდა ხუნტის მეთაური კონტრ-ადმირალი რამონ კასტრო ხიხონი.

გუაიაკილში გამართულ ბრძოლას მხარს უჭერენ კიტო, რიობამბა და სხვა ქალაქები. ხუნტის მხედრობის პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად გადადგა სოფლის მეურნეობის მინისტრი ედუარდო კარიონ ტორალი.

მთელ ეკვადორში პოლიტიკური პარტიები, პროფკავშირული და სტუდენტთა ორგანიზაციები, პრესა და მოსახლეობის სულ სხვადასხვა წრეები პროტესტს აცხადებენ ეკვადორის მთავრობის ახალი რეპრესიების წინააღმდეგ.

„პარტიის ძირითადი ბირთვი"

ალჟირი, 17 მაისი. (საკდესი). აქ მუშაობა დაამთავრა ალჟირის ომის ვეტერანთა მეორე ეროვნულმა ყრილობამ. ყრილობის დელეგატებმა მიიღეს თეზისები, რომლებიც ეხებიან ეროვნული ფრონტის ბრძოლას ალჟირის ეროვნული ეკონომიკის აღორძინებისა და ალჟირელ ხალხთა ცხოვრების გაუმჯობესებისთვის. ეროვნული ფრონტი, ნათქვამია თეზისებში, ალჟირელ ხალხთა ინტერესებს გამოხატავს, ალჟირელ ხალხთა ინტერესებს ეხმიანება, ალჟირელ ხალხთა ინტერესებს ეხმიანება, ალჟირელ ხალხთა ინტერესებს ეხმიანება

ახალი პიესები · ცოცხალი

ასი სპექტაკლი კომედიისა

„კონსული მოიპარეს“

იმ საღამოდან ჯერ კიდევ რამდენიმე დღით ადრე, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი, მოსკოვის ქუჩებში აფიშები გამოჩნდა. ისინი საზოგადოებას ამცნობდნენ, რომ ამა და ამ დღეს მცირე თეატრში მეასედ წარმოადგენენ ცნობილი საბჭოთა ლრამატურგის გ. მდივნის კომედიას „კონსული მოიპარეს“, რომელმაც უდიდესი პოპულარობა მოიპოვა.

საინტერესოა, რომ ეს კომედია პირველად ნაჩვენები იყო მცირე თეატრის სცენაზე გასული წლის მარტის შუა რიცხვებში. ამრიგად, თუ გავითვალისწინებთ, რომ თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი ორ თვეს შვებულებაში იმყოფებოდა, გამოდის, რომ სპექტაკლი „კონსული მოიპარეს“ ასჯერ დიდგა ცხრა თვის განმავლობაში. თეატრალური ხელოვნების მოყვარულებმა ალბად იციან, რომ ასეთი რამ იშვიათად ხვდება ხოლმე წილად დრამატურგის ნაწარმოებებს.

ხელოვნების ქრონიკა

△ **თელავი.** (საკ. კორ.). თბილისის თოჯინების სახელმწიფო ქართული თეატრის კოლექტივმა ქ. თელავში და თელავის რაიონის სოფლებში მაყურებელს უჩვენა გ. ნახუცრიშვილის „კომბლე“ და ბ. სტეპანოვის „დაკარგული საუნჯე“. სპექტაკლებს ხუთი ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო.

თეატრი სპექტაკლებს გამართავს გურჯაანის, ყვარლის, ახმეტის, სიღნაღის და სხვა რაიონებშიც.

△ **ლაგოდეხი.** (საკ. კორ.). ლაგოდეხის სახალხო თეატრმა მაყურებელს უჩვენა ანა ალლაძის პიესა „ნათელი დღე“, რომელიც დადგა რეჟისორმა ვ. თანდაშვილმა.

როლებს ასრულებენ მსახიობები მ. გოგოსაშვილი, მ. თანდაშვილი, ლ. ლურსმანაშვილი, ს. ზორიანელი, ო. ზედელაშვილი და სხვ.

△ **ონი.** (საკ. კორ.). აქ კარგ ტრადიციად დამკვიდრდა ყოველი თვის უკანასკნელ კვირას კულტურის სახლში სიმღერების დღესასწაულის გამართვა. ამ დღეს სცენაზე გამოდის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „ახალგაზრდობა“, რომელშიც ოთხმოცამდე მომღერალი და მოცეკვავეა გაერთიანებული.

კაფე „დილა“

ცხინვალი. (საკ. კორ.). ტელმანის ქუჩაზე, იქ, სადაც კინოთეატრი „ფიდიუგია“, გახსნილია „ახალი კეთილმოწყობილი კაფე „დილა“. იგი ყოველთვის სავსეა კლიენტებით.

ავტომატიკის სიახლენი

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე



სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მანქანათმშენებლობის პავილიონში დიდი გამოცოცხლებაა. მრავალი მნახველი მოდის აქ ყოველდღიურად ერთ-ერთ დარბაზში წარმოდგენილია უკანასკნელი გაუმჯობესებანი საღი შენადნობებისა და ლითონების დამუშავების ელექტროფიზიკური და ელექტროქიმიური მეთოდების დარგში. ასეთ მეთოდებს იყენებენ ტექნოლოგიური აღჭურვილობის— ტკეფრების, საწნეხი და ჩამოსასხმელი ფორმების დამზადების დროს. მათ აკეთებენ დიდი სისალის ნამზადისაგან, რომლის ჩვეულებრივი მექანიკური დამუშავება შეუძლებელია.

ექაკურსანტები დიდხანს დგანან მავთულის ელექტროდ-ინსტრუმენტიან ახალ ელექტრონა-პერწკლურ ფოტოპირგადასაღებ დანადგართან. იგი ავტომატურად მუშაობს და კობირების მიხედვით გამოჭრის ხოლმე ყოველი კონფიგურაციის დეტალებს, თუნდაც აგურული, მინიატიურულს.

წინანდელი კონსტრუქციების ელექტრონაპერწკლურ ჩარხებში ისინიბდნენ მექანიკურ შემხვ კოპირებს. ეს რთულია და ბევრ დროს მოითხოვს. ლენინგრადის სახალხო მეურნეობის საბჭოს მიერ დამზადებულ ახალ დანადგარში კი კობირად იყენებენ ტვიფრის ლითონის თარგს ან სამუშაო დეტალს, მაგალითად პუანსონს მატრიცის დამზადებისას. კობირად შეიძლება გამოყენებულ იქნას თუნდაც ნახაზი კალკაზე, ქაღალდზე, ფოტოქაღალდზე ან ფოტოფირფიტაზე. მეთვალყურე ფოტოელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს დეტალების მიღებას 0,01 მილიმეტრამდე სიზუსტით. კობრტის ბართკეთხა ფორმის მქონე დეტალების დამზადებისას დანადგარი ნახევრადავტომატური რეჟიმით მუშაობს.

სპეციალისტებს, რომლებსაც სალი შენადნობებისა და ლითონების ელექტროეროზიული დამუშავება უნდათ, ლენინგრადელთა სხვა ექსპონატები დაინტერესებს. მაგალითად, მაღალსიხშირის ელექტროეროზიული გენერატორი, რომელიც ზედაპირის დამუშავების დიდ სიზუსტესა და ჯარგ ხარისხს უზრუნველყოფს. მას იყენებენ როგორც ტიპური ელექტროეროზიული ჩარხების მიბაჯენს.

ლენინგრადელთა წინადადებაა ფოლადის დეტალების საშუალო დამუშავებისათვის გამოყენებული იქნას არსებული ელექტრონაპერწკლური ჩარხების სპეციალური მისაბჯენი, რომელიც 200-500-ჯერ შეამცირებს ელექტროდ-ინსტრუმენტების გაცვეთას და ამავე დროს აამაღლებს ზედაპირის დამუშავების სიწმინდეს. თუ თვითეული ნახვრეტის გაჭოლვისათვის ჩვეულებრივ ცალკე ელექტროდს იყენებენ, მისაბჯენი შესაძლებელს გახდის ერთი ელექტროდით 100-120 ნახვრეტის გაჭოლვას. ლენინგრადის კრბიუროატორის ქარხანამ ეს მეთოდები სამბობი არმატურის დეტალების დამუშავებისას გამოიყენა, რითაც 35-ჯერ შეამცირა ზოგიერთი ოპერაციის შრომატევადობა, 10-ჯერ შეამცირა წუნი და 700 ათასი მანეთი ეკონომია მიიღო. კიროვის ქარხანამ კი 9 ელექტროიმპულსური ჩარხის დანერგვით შარშან 400 ათასი მანეთი დაზოგა. საინტერესოა პოლიქლორვინილის მილების ავტომატური ნიშანსადებელი და საჭრელი აპარატი, რომელიც 10-15-ჯერ ზრდის შრომის ნაყოფიერებას.

მ. ლარკინი.

უკრავენ ახალგაზრდა მუსიკოსები

დამთავრდა პიანისტების — ამიერკავკასიის ახალგაზრდა შემსრულებელი მუსიკოსების კონკურსის მეორე ტური. ოცი პიანისტიდან, რომლებიც მეორე ტურში მონაწილეობდნენ, უკანასკნელ ეტაპში გამოსვლის უფლება შვიდმა კაცმა მოიპოვა. პირველი ადგილისა და ლაურეატის სპატიო წოდებისათვის იბრძოლებენ თბილისის მეორე მუსიკალური სასწავლებლის მოსწავლენი მ. დოიკაშვილი და თ. მათთრელი, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის სტუდენტი ნ. ხუბუტია, ერევნის კომიტასის სახელობის კონსერვატორიის სტუდენტი ს. ნავასარდიანი, ბაქოს უ. ჰაჯიბეკოვის სახელობის კონსერვატორიის სტუდენტები ვ. მატიუშკინი, ა. ალექეროვი და ლ. ალექსანდროვსკი.

გამოვლინდნენ გამარჯვებული ვიოლონჩელისტებიც. ესენი არიან თბილისის მეორე მუსიკალური სასწავლებლის მოსწავლე რ. მაჩაბელი, ბაქოს კონსერვატორიის სტუდენტი ი. ამდულაევი, ერევნის კონსერვატორიის სტუდენტი ფ. სიმონიანი და ერევნის პ. ჩაიკოვსკის სახელობის მუსიკალური ათწლედის მოსწავლე ვ. სარაჯიანი.

ვიოლონჩელისტთა კონკურსის მესამე ტური გაიმართება 20 მაისს რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში. (საქდესი).

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის კულტურულ დაწესებულებათა „ოჯახს“ კიდევ ერთი წევრი შეემატა. ეს არის საქართველოს პროფტექნიკური სასწავლებლების კულტურის სახლი, რომელიც საბურთალოში, ლისის ქუჩაზე აშენდა. მინითა და ბეტონით ნაგები ოთხსართულიანი შენობა — ნათელი და არქიტექტურულად მიმზიდველია.

კულტურის ახალი კერა

კულტურის ახალი სახლის გახსნასთან დაკავშირებით გაიმართა საზეიმო საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ მ. ჩიხლაძემ,

საკავშირო ნებაყოფლობითი სასპორტო ორგანიზაციის „შრომითი რეზერვების“ პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ გ. პოკილოვმა საზოგადოებისა და ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა გადასცა „შრომითი რეზერვების“ საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოს 1964 წელს ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობის საუკეთესოდ დაყენებისათვის.

პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა XVIII რესპუბლიკურ სპარტაკიადის მთავარმა მსაჯმა ო. ბერიძემ ილაპარაკა სპარტაკიადის შედეგებზე. გამარჯვებულთ გადაეცათ საბეიალური ფასები და სპატიო სიგელები.

„შეკრებილთ რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობის სახელით მიესალმა საქართველოს სსრ სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. სიხარულიძე.

სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე რესპუბლიკის პროფსაბჭოს წარმომადგენელმა ი. ჩოჩიამ, კულტურის სახლის დირექტორმა ვ. ნოდიამ, ქალაქის მე-11 და 35-ე პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებმა კ. ბუგიანაშვილმა და ვ. პაცანაშვილმა.

დასასრულ გაიმართა კონცერტი ქალაქის პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა მონაწილეობით.

სურათზე: კულტურის ახალი სახლი ლისის ქუჩაზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ჩეხოსლოვაკიის ოქრის მედალი ქართველ მეცნიერს

ფაშისტი დამპყრობლებისაგან ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 20 წლისთავთან დაკავშირებით ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ცენტრალურმა კომიტეტმა ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე, პროფესორი დ. ო. ლორთქიფანიძე დააჯილდოვა პირველი ხარისხის ოქროს მედლით „ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკასა და სსრ კავშირს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებაში დამსახურებისათვის“.

ამ დღეებში ეს ჯილდო პროფესორ დ. ლორთქიფანიძეს გადასცა სსრ კავშირში ჩეხოსლოვაკიის საელჩოს პირველმა მდივანმა დ. სპაჩილმა, რომელიც თბილისში იმყოფებოდა. (საქდესი).

„ნაკადულის“ წიგნის თარო

კობე მესხი — მწერალთა ასოციაციაში (მოთხრობების კრებული). რედაქტორი ნ. ბეზარაშვილი, მხატვარი ი. ქლიბაძე. გვ. 70, ფასი 7 კაპ.

აკაკი ართილაევა — ფეხბურთელი დათუნები (მოთხრობების კრებული). რედაქტორი ლ. ჭიკინაძე, მხატვარი დ. დუნდუა. გვ. 53, ფასი 8 კაპეიკი.

მონტეიროუ ლობატუ — ყვითელი ქოდალის ამბავი (მოთხრობა). თარგმანი ელ. ჭიკვანაძისა. რედაქტორი ლ. ქადაგიშვილი, მხატვარი ვ. ალფეევსკი. გვ. 317, ფასი 97 კაპ.

ცოცხალი სპორტი

გამოუყენებელი უპირატესობა

28 მაისს მეტად პასუხსაგები ასპარეზობა მოელის ბაიერძნეთის გუნდთან.

მატჩი დაძაბულად, საინტერესოდ წარიმართა და თუმცა ერთხელაც არ ყოფილა აღებული, მეტოქეებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. მატჩის საბოლოო ანგარიში 0:0 შეიძლება ვერც გამოხატავდეს გუნდების ძალთა თანაფარდობას.

ჩვენს ნაკრებში საოჯეოსლები იყვნენ ა. შესტერნევი, გ. სიჭინავა და ხ. მეტრეველი.

გუნდები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ:

ავსტრია: სცანვალდი, გალა, ბინდერი, კრემზერი, შტურმბერგერი, კოლერი, ჰირნშროდტი, ფლოიგელი (ენოლი), ზეიტლი, ზაბეცერი, ფიბიეკი.

სსრ კავშირი: ბანიკოვი, დიკარევი, შესტერნევი, ვორონინი, დანილოვი (პონომარიოვი), ნეტო (ლოგოფეტი, კრასნიცკი), მეტრეველი, სიჭინავა, ივანოვი, კაზაკოვი, მესხი (ხუსაინოვი).

სსრ კავშირი — ავსტრია 0:0.

ყოველთვის დაძაბულად მიმდინარეობს სსრ კავშირისა და ავსტრიის ნაკრები გუნდების შეხვედრები ფეხბურთში. ამ მხრივ არც მათი მეხუთე მატჩი იყო გამონაკლისი, რომელიც გასულ კვირას გაიმართა მოსკოვში, ცენტრალურ სტადიონზე.

საბჭოთა გუნდი მოედანზე სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა **იგორ ნეტომ** გამოიყვანა, ეს მისი 59-ე გამოსვლა იყო ნაკრების შემადგენლობაში, რომლის ღირსებას იგი 1952 წლიდან იცავს და უკვე ათი წელია მისი უცვლელი კაპიტანია. სულ ხუთი წუთი დაჰყო ფეხბურთის ვეტერანმა მინდორზე. მრავალრიცხოვანმა მაყურებელმა, ფეხბურთელებმა იგი გულთბილად გაიცილეს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ი. ნეტო ლენინის ორდენით დააჯილდოვა, სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის დადგენილებით იგი ჩვენს ქვეყანაში გამართული ყველა სპორტული ღონისძიების საპატიო სტუმარი იქნება. იგორ ნეტო კვლავ ითამაშებს თავის საყვარელ გუნდში, მოსკოვის „სპარტაკში“, რომელშიც ოთხასამდე შეხვედრა ჰქონია.

ი. ნეტომ კაპიტნის სამკლავური ვ. ივანოვს გადასცა.

ძლიერი მეტოქეები არიან ავსტრიელი ფეხბურთელები, და თუ ის უპირატესობა, რომელიც საბჭოთა გუნდს ჰქონდა მთელი თამაშის მანძილზე, რეალიზებული არ იყო, ეს უწინარეს ყოვლისა სტუმრების დაცვისა და მეკარე სცანვალდის დამსახურებაა. თანაც ჩვენი თავდამსხმელები სცოდავდნენ კარში დარტყმების დროს. კარის აღების რეალური შესაძლებლობა დაკარგეს ივანოვმა. მეტრეველმა, ლოგოფეტმა, კრასნიცკიმ.

როგორც ჩვენ ნაკრებისათვის, ისე სტუმრებისათვის ეს შეხვედრა გენერალური რეპეტიცია იყო მსოფლიოს პირველობის შესარჩევი მატჩებისათვის. ავსტრიელები უნგრელებთან შეხვედრისათვის ემზადებიან, ჩვენს ნაკრებს კი 28 მაისს ბულგარეთში ესტუმრებიან. ეს ორი ოპონენტი ევროპის ჩემპიონატზე ერთ ჯგუფში ერევიან ერთმანეთს. ამ ორ ოპონენტ ქვეყანას ბულგარეთიც ემატება. ამ ოთხ ოპონენტ ქვეყანას ბულგარეთიც ემატება. ამ ოთხ ოპონენტ ქვეყანას ბულგარეთიც ემატება. ამ ოთხ ოპონენტ ქვეყანას ბულგარეთიც ემატება. ამ ოთხ ოპონენტ ქვეყანას ბულგარეთიც ემატება. ამ ოთხ ოპონენტ ქვეყანა

გაძლიერებული ტემპის წინ

საქართველოს საკადრაკო ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტური რჩება. მეთხუთმეტე ტურში დიდი მნიშვნელობა ქონდა ო. ჯინჯიხაშვილის შეხვედრას გროსმაისტერ რ. ხოლმოვთან. დასაწყისში უპირატესობა რ. ჯინჯიხაშვილს ჰქონდა, მაგრამ შემდეგ შავებმა გაამწყვეტეს ბრძოლა. გადამწყვეტ მომენტში რ. ხოლმოვმა მეცდარად ითამაშა მხედრით, რითაც საშუალება მისცა მეტოქეს ხარისხის შეწირვით პარტია მისთვის ხელსაყრელ დაბოლოებაში გადაეყვანა. რ. ჯინჯიხაშვილი ბოლომდე ზუსტად თამაშობდა და მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. ამ მოგებით მან შეასრულა ოსტატის წოდების მოსაპოვებლად საჭირო ქულათა ნორმა.

ბ. გურგენიძე თანამიმდევრულად თამაშობდა ი. ვეტოხინთან. მან მოიგო ორი პაიკი, შემდეგ დაასუსტა შავი მეფის საფარი და გაიმარჯვა. გროსმაისტერმა ე. ვასიუკოვმა სძლია თ. კიკიანს. ყაიმზე შეთანხმდნენ ნ. გაფრინდაშვილი და ო. ელიოზიშვილი.

გუშინ გადადებული პარტიების დამთავრებისას ბ. გურგენიძემ მოუგო ე. მიქაელიანს, თ. გიორგაძემ — გ. მაკავარიანს, ო. ელიოზიშვილმა — თ. ლომაიას.

15 ტურის შემდეგ 11 ქულით და ერთი გადადებული პარტიით პირველ ადგილზეა რ. ჯინჯიხაშვილი, 10,5 ქულა აქვთ გროსმაისტერ ე. ვასიუკოვსა და ოსტატ ბ. გურგენიძეს.

ჩოგბურთელები ემზადებიან

ამ თვეებში მრავალი საერთაშორისო ასპარეზობა მოელით საბჭოთა ჩოგბურთელებს. ჩვენი უძლიერესი ჩოგბურთელები ა. დმიტრიევა, თ. ლეიფსი, ა. მეტრეველი მონაწილეობას მიიღებენ საფრანგეთის ღია ჩემპიონატში. პარიზში „როლან-ბაროს“ სტადიონზე შეიკრიბებიან მსოფლიოს უძლიერესი ოსტატები. ეს ასპარეზობა მსოფლიოს არაოფიციალურ პირველობად ითვლება გრუნტიანი კორტებისათვის.

ივნისის დასაწყისში საბჭოთა ჩოგბურთის პრემიერები ინგლისში გაემგზავრებიან უიმბლდონის ასპარეზობაშე გამოსასვლელად. ჩვენს ტრიოს დამატებიან ახალგაზრდა ჩოგბურთელები, 16 წლის ვ. კოროტკოვი და 15 წლის ო. მორროზოვა. ინგლისში ბალახიანი კორტებია, რომელზეც მოქმედება საგრძნობლად განსხვავდება ჩვეულებრივისაგან. უიმბლდონის მრავალრიცხოვან ტურნირებზე იკრიბებიან მსოფლიოს ჩოგბურთის ვარსკვლავები. მთავარ ტურნირში გამარჯვებული კი მსოფლიოს № 1 ჩოგბურთელად ითვლება.

კიევში უკვე დაიწყო სოციალისტური ქვეყნების იუნიორთა საერთაშორისო ტურნირი. ივლის-აგვისტოში ჩვენი ჩოგბურთელები ეწევიან პოლონეთს, ფინეთს, საფრანგეთს, ჯერ-ს. 9 აგვისტოს კი მოსკოვში დაიწყება ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. შემდგომაზე კი გაიმართება სსრ კავშირის პირადი და გუნდური პირველობა.

ყველაფერი ეს შესანიშნავი მომზადება იქნება ოლიმპიური თამაშებისათვის, სადაც ჩოგბურთი თავის კანონიერ ადგილს დაიკავებს.

ბანკნოტებიანი ამბავი

ბანკნოტებიანი ამბავი — ეს ასეთ ამბავ ეწოდებოდა ინგლისელ ბანკირ ბ. ბ. ბ.